

ლიტერატურული განეთი

№16 (368) 30 აგვისტო - 12 სექტემბერი 2024

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თერი

ვახტანგ ჯავახაძე

„სოსო, შეძელო!“

1950 წელს ქუთაისის ვაჟთა პირველი სკოლის მეთერთმეტეკლასელი უკვე მეორედ მიმინვიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში — ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილის სტუდიაში. ნავიკითხე ლექსები. შეკრებას ეს-ნორბოდა იოსებ გრიშაშვილი. მეორე დღეს რეგიონიდან ჩამოსული რამდენიმე მოსწავლე ხარჯუხში ვეწვიეთ პოეტს და ფოტოებიც გადავიდეთ. ორი ფოტოსურათი შემომრჩა. ერთში მასპინძლის გვერდით ვდგავარ, მეორეში მასპინძლელი ცალკედ დგას მარცხნივ, მარჯვინივ კი — მისი სტუმრები.

იმ დროს იოსებ გრიშაშვილი რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრობდა და იქაც ვესტურები. ბატონმა სოსომ მითხვა — გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქტორი ვალერიან ლალიაშვილი ჩემი მეგობარია და წერილი დამინიჭერა:

— ვალერიან, გთხოვ, ამ ახალგაზრდა პოეტს ყურადღება მიაქციო. აქ ძალიან მოგვეწონა. იმედია, რამდენიმე ლექს დაუბეჭდავ. შენი ი. გრიშაშვილი. 1950. 16/XI.

მალე გაზეთში ჩემი ლექსი დაიბეჭდა.

ცხრა წლის შემდეგ უკვე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორად ვირიცხებოდი, როდესაც იოსებ გრიშაშვილის „რჩეული“ გადმომცეს სარედაქტოროდ. ეს ერთობლივ 1959 წელს დაიბეჭდა.

— ჩემს კარგ რედაქტორს, პოეტ ვახტანგ ჯავახაძეს ავტორისაგან, 1959 წ. 23 აპრილი. ჩემი დაბადების თარიღი.

პირველ საავტორო ეგზემპლარს იმდღევანდელი თვე და რიცხვი კი არ მიუწერა, არამედ — როგორც თვითონ მითხვა — თავისი დაბადების თარიღი.

II

ზაალ სამადაშვილი

„ჩინს სახლის“ მთხოვნელი

ის ამბავი როგორ იყო?

ჰო, ისა, ორმოციოდე წლის კაცი რომ შემოდიოდა „ჩინს სახლში“, კვირაში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს, ოთხშაბათს თუ ხუთშაბათს, ერთსა და იმავე საათზე, შებინდებისას, ლამპიონები რომ ინთებოდა სამი ქუჩის გადაკვეთაზე, მაშინ...

ჩაის რომ აიღებდა, შექრის რამდენიმე ნატეხს რომ დაილაგებდა ლამბაქზე და იქ რომ ჯდებოდა, დარბაზის იმ კუთხეში, იმ მაგიდასთან და იმ სკამზე, რომელსაც ყველა მის ადგილს ეძახდა.

ზამთარი რომ იდგა, დათოვლილი რომ იყო უნივერსიტეტის ბალი, მისი ნაძვები და ძელსკამები, იქ ყოფნის და რაზეც გინდა ფილოსოფოსობის მოყვარულ სტუდენტებს დახურული სივრცისთვის რომ შეეფარებინათ თავი, ორსართულიანი შენობის მეორე სართულისთვის, რომლის ტიხერებიანი ვიტრინიდან ვარაზისხევის ზედა მხარე მოჩანდა და სადაც ისეთი სითბო და სინათლე სუფევდა, როგორიც ერთი მაგარი მნერლის მიერ აღნერილ კაფეში...

კვირაში ერთხელ მომსვლელ კაცს დიდხანს რომ არ უწევდა მარტო ჯდომა. ორი-სამი ყლუპი ჩაის მოსმას და შაქრის ერთი ნატეხის გაკვნეტას რომ ასწრებდა მანამდე, სანამ თავზე ნამოადგებოდნენ, მის მაგიდას შემოუსხდებოდნენ ნაცნობი, მაგრამ მიუპატიუებელი სტუმრები, მათ უკანაც რომ მოკალათდებოდნენ დარბაზის სხვადასხვა კუთხეებიდან თავთავიანთი სკამებით ნამოსული გოგო-ბიჭები. ხან ათნი რომ გროვდებოდნენ, ხან ათზე მეტი. მოხერხებულად რომ მოკალათდებოდნენ მის ირგვლივ, ყველას თვალთახედვის არეში რომ მოქცეოდა კაცი, მაშინ რომ მიმართავდა ერთერთი, იქნებ გვითხრათ, ამჯერად სად იყავით, ეს კვირა სად გაატარეთო...

III

ნინი ელიაშვილი

* * *

შენი გაზაფხული მიყვარს გაზაფხულზე ჩიტების მომრავლება და როდესაც შევეჩვევი დანაკარგს ისე აღარ მომინდები ისე არ დამჭირდები მაგრამ ახლა ნეტავ შენთან დიდხანს მალაპარაკა

განა რამე მნიშვნელოვანს ან ჭკვიანურს გეტყოდი რამეს განა წაგახმარდი სურვილად ან იმედად მინდა ასე ლაპარაკში მიგაცილო მეტრომდე და მხოლოდ კარგს და მხოლოდ კარგს ცუდს რა მათქმევინებდა

მაგრამ ახლა შენ არ მისმენ მინდობილხარქარის ხმას აღარც მოგენატრები და ანუ არც მომეკრობი აღარცერთი ალუბალი ჩემს გაზაფხულს არ ისხამს დამრჩა ძველი წერილები და ქურთუკი მეგობრის

ნიშნად რომ მე ვარსებობდი ნიშნად რომ შენ გჯეროდა გზად რომელსაც გამუდმებით ჩემგან სხვაგან მიყავდი ნეტავ ხელში ყვავილების თაგული მჭეროდა მეთქვა როგორ მჭირდებოდი მეთქვა როგორ მიყვარდი

დავით ქართველიშვილი

ცვლადი

თავისუფალი თემა
ბუსუსას

ალეგორია პირველი
ეტუ

1

საკუთარ თავზე ყოველთვის მესამე პირში წერს და არც ეს მოთხოვანა გამონაკლისი.

საქმეს უკვე კარგად გამოცდილი მეთოდით იწყებს. უპირველესად, მოთხოვანისათვის, მისი აზრით, ყველაზე მისაღებ დროსა და შესაფერის სივრცეს იწჩევს.

კონკისტადორების მიერ ჯერ კიდევ ფეხსდაუდგმელი მინა, თუმცა კონკისტადორების გამოჩენამდე არც ისე ბევრი, დაახლოებით ორი ათეული მოკლე თავილა რჩება.

2

რა თქმა უნდა, ამ ბუნებრივ-გეოგრაფიულ კომპლექსს ან, ერთი სიტყვით, ტერიტორიას კონკისტადორების გამოჩენამდე ადგილობრივები სულ სხვა სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა ამ დასახელების დაზუსტება არა თუ იდნავ, არამედ სრულიად უმნიშვნელოა თავად მოთხოვანისთვის, რადგან ის არა ისტორიულ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ავტობიოგრაფიულ მოთხოვანის წერს.

VI-VIII

ზაზა ბიბილაშვილი

ირაკოდავ

— ვერ გავაჩერებ... მაგრამ შემიძლია, უკან დავაპრუნო, — მითხვა და ხინკალს ნახევარი ხინკალი მოაკბიჩა.

— კარგი, დააბრუნე, — დავყაბულდი.

პირის ცმაცუნი განაგრძო, თუმცა არაფერი უთქვამს.

ისევ მე დავილაპარაკე:

— ენურბაად, იგრაკ.

მან ხინკალის ნარჩენი პირთან მიიტანა, გაამთელა, თეფში დადო და თქვა:

— ონურბაად ნაკუ, აილძიმეშ მარგამ... ბერეჩავავ რევ.

შეთხელებული სუფრა თანდათან შეივსო. ისე, რომ ამ ყველაფრის ნასაღებად მიმტანს რამდენჯერმე მოსვლა მოუხდა. მაგიდა სულ რომ დაცარიელდა, იციოდე წილს კიდევ ვისხედით და ვალუებულებდით. მერე ისევ მიმტანი მოვიდა კალმით და პატარა ბლოკნოტით. ბლოკნოტის ერთ ფურცელზე შეკვეთა ეწერა და ვიღრე ჩვენ რომელიმე კერძის სახელს უკუღმა ამოვთქვამდით, ის მას ფურცელიდან გულმოღვინედ შლიდა...

VIII-IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

ის კი, კეფას რომ მოიქედავდა, ქურთუკის ჯიბიდან ამოღებულ სათვალეს რომ მოირგებდა ცხვირზე, გამომცდელად რომ გამოხედავდა შეკითხვის ავტორს და ამოხვერასაც რომ წარმოთქვამდა — რაკი არ იძლით, კარგი, ამ ერთხელაც მოგიყვებით, რა გადამხდაო... ერ მაგიდას მიუჯდებოდა, ბალიშს რომ იდებდა სკამზე, საბეჭდი მანქანის ღილაკებს რომ მინვედომოდა, დაუღლელსა და ნაყოფიერებით გამორჩეულს, ერთი საათი რომ ჰყოფნიდა ერთი თაგბრუდა მხვევი ისტორიის შესაქმნელად და დასრულებისთანავე მეორის თხზვას რომ ინყებდა. ძელი რომ არ გცოდნიათ მისი. ვიღაცებისთვის წარსულს რომ ჩაბარდა ის საღმოები „ჩაის სახლში“, თუმცა შენთვის — არა. ძებნა რომ გააგრძელე, კაცის ნაცვლად იმ ამბების, რომლებსაც ჰყვებოდა.

შენც რომ აღმოჩნდებოდი მსმენელთა შორის და ეს იმ საღამოს რომ მოხდებოდა, როცა ის ორ უცნაურ პერიკაცზე ილაპარაკებდა, ტყუპისუალებზე, მათთან ბანქოს თამაშმი გატარებულ საათებზე და შემდეგ ერთ-ერთ მათგანთან და ორ ბიჭთან ერთ-ად ვიღაც ცუდი კაცის დევნაზე კლდესა და ლრეზი, ქარსა და წვიმაში.

შენაირი ბიჭი პირველად რომ მოუსმენდა ამ კაცს, იფიქრებდა, ეტყობა, წასული იყო ქალაქიდან და ამბები, რომ ლებასაც ჰყვება, მართლა გადახდა თავს რომელიდაც მიყრუებულ დაბასა თუ სოფელში, ჩეგინ პატარა ქვეყნის რომელიმე კუთხის მიუვალ ადგილებში, კლდე-ღრეებსა თუ ხევ-ხუვებში...

შემდეგ ჯერზე, ერთი კვირის თავზე, თხოვნას რომ არ დაელოდებოდა და თავად რომ მოგმართვადათ მის ირგვლივ მსხვეობთ — იცით, როგორი გოგო გავიცანი და თან სადო?.. რომ ვერ წარმოვიდგენდი ისეთ ადგილას, ერთ უხეირო, რკინიგზის-პირა რისტორანში...
ხანშიშესულ ექიმს, საკუთარ აზრებს რომ იწირდა ფაონალის ნაგლიჯგბზე, მერძალული ჰქონდა იქ შესვლა... ბავშვებს რომ უყვარდათ, ონავარ ბიჭუნებს, იმიტომ რომ წამლებთან ერთად, არაჩვეულებრივ ლიმინაციაც ამზადებდა წყლით, სიროფითა და ყინულით...

თითქოს ნათელი რომ იყო ყველაფერი, თითქოს ახსნილი რომ გქონდა მგზნებარედ თხობის მიზეზიც, თუმცა, ერთი რამ მაინც გაურკვეველი რომ რჩებოდა — რატომ თვლითა საჯთარი მონაცოლების

და კაცი, იმ ეპიზოდებზე, გამორჩეულად რომ მოსწონდა...

თითქოს ნათელი რომ იყო შემსწრე იყო პროვინციული ქალაქის რკინიგზისპირა რესტორანში მომხდარი ამბის, ლამაზმა კახეა გოგომ უცნაური ფორმით რომ გამოუხატა სოლიდარობა პიკლი კს (ასა იძახონენ იმ

და იტყობდა, რომ მიშები ახალგაზრდა, კეკლუცი არსებით დაინტერესებისა, მის მიმზიდველ გარეგნობასთან, ტანზე შემოსალტულ კაბში გამომწყვდეულ უზადო სხეულთან ერთად, საქციილიც განხდებოდა, რომლის მსგავსს არათუ არ შესწრებოდა, სხვებისგანაც არ სმენოდა არასოდეს...

კვლავ იმ შეგრძნების აღმდერელი რომ იქნებოდა მისი თხრობა — ნაღდად თავის ამბავს ჰყვება ეს კაციო და ამ შეგრძნებას მღელგარება რომ განაპირობებდა, რომ-ლითაც მის მიერ წარმოთქმული ლამის ყოველი წინადადება სუნთქვავდა.

კა ხელის მქონე მეთუუნუქეს, თავის პატარა ქალაქის თეატრალური დასის წევრი რომ ყოფილა ერთხანს, ბევრი ვერაფრის-აქეთ-იქთ... წაყარი ვამდი რომ უყვარდა, პატარები, უშნოები, მინაზე რომ რჩებოდნენ ბალის გაერთის შემდეგ...

კა ხელის მქონე მეთუუნუქეს, თავის პატარა ქალაქის თეატრალური დასის წევრი რომ შემდეგ...

რამდენიმე თვის შემდეგ სიზმარი რომ უფრო მეტი გადასულ საქმიანობას, ძევლი და ახალი წიგნების კითხვას, რაიმეს აღმოსაჩენად და დასადგენად კი არა, ისე, გულის გადასაყოლებლად რომ მიუპრუნდი...

რამდენიმე თვის შემდეგ სიზმარი რომ

უნცვეტად, სხაპა-სხუპით — არა, დაფიქტებისთვის, სწორი სიტყვების მოსაძებნად საჭირო ხანმოკლე პაუზებით რომ მოყვებოდა ამბავს გოგოზე, რომელიც რესტორანში მყოფთა ყურადღებას შემოსვლისთანავე მიიქცევდა და ცოტა ხნის შემდეგ, მის სახლოვანს ჩათორხილიჭული ახალპეტვის რომელი მიუღებების გარდა, მაგრამ სამუდამოდ რომ „მონამლულა“ ჩასუნთქული სცენის მტვრით. თეატრიდან დათხოვნის შემდეგ ძველ ხელობას დაბრუნებულა, მუდამ იმის გახსენებაში რომ ყოფილა, როგორ კავთნანი მის ამირის ცნობითი ისტონახებისთვის გარების სამყაროში გადაბარებულმა, თავი ვრცელ, ნახევრად-ჩაბნელებულ დარბაზში რომ ამოყავი. დარბაზის შუაგულში მდგარი გრძელი მაგიდა რომ იყო განათებული მხოლოდ დაისიც მერთალად, ირგვლივ შემონყობილ მათალ შანთობიზე თამარინით სანოთ-

რომ ნამოდგებოდა, იქაურობას დატო-
და ოფიციანტის გამოსასაჩრდებლად, დი-
რექტორი დასჯას რომ დაუპირებდა მშვე-
ნიერი სტუმრის შეწუხების, კაბის დასვე-
ლების გამო, მთელ გრაფინ ტყილ სითხეს
რომ გადაივლებდა თაგასა და წარმტაცად
ამოღურცულ მკერდზე...

რომ ნამოდგებოდა, იქაურობას დატო-

ბადა სადადებელი უკანონობის საფუ-
რიული დრამის მესამე მოქმედებაში...

ზამთარი რომ მიიღია ამასობაში, ისევ
რომ გადაიკარგე ქალაქიდან ცხრა თვით.
დაბრუნებულს და ის უცხაურ კაცის მო-
სასმენად „ჩაის სახლში“ მისულს, ცუდი
ამბავი რომ დაგახვედრეს მეგობრებმა...
უნებაში, ყველას და ყველაფერს რომ

საბოლოო სადადებელი უკანონობის საფუ-
რიის შექმნით. მაგიდას პარიკიანი, მუქი ფე-
რის კამზოლებში გამოწყობილი ბატონე-
ბი რომ უსხდენ, მნიშვნელოვან საკითხზე
სალაპარაკოდ შეკრებილები, თითოეული
მათგანის გამომეტყველება ამას რომ მი-
ანიშნებდა. ჰერის შერხევა რომ იგრძენი
კეფასთან, თითქოს ვილაც სუნთქვავდა შეს

ცეკვის ტრანსცენდენტულ ულამაზო ვაშლებს და
ოდნავ უკან მიმავალი, ღიმილით უყურებ-
და დაწინაურებულ თანამგზავრს, რომელ-
იც ჯიბიდან იღებდა და აქეთ-იქით აბნევ-
და დიდი ხნის წინ დაჭმულებულ და დაგორ-
გოლავცულ ქაღალდის ნაგლეჯებს...

რომ მას არაფერი ერჩივნა შემოდგო-

კებდა და გარეთ გასულს ფუტკრები რომ დაესეოდნენ, თითქოს სურნელოვანი ყვავილი ყოფილიყოს...
სახახალწოლო უძინების ართა, მომთა- აკონტროლებდა, ენა მიეტანა ვიღაცას — უკან. შემმა რომ აგიტანა, თუმცა თავი მა- საეჭვო პიროვნება ხვდება სტუდენტებს ინც რომ მიატრალე...
და ის კაცი ორმა შეგრჩა ხელთ, ჩაის სახ- მათ და სავარაულოო. ორნაბას ურიასო- ლე გიორგაძესთან ერთად ღვინის დალევ- ას და მისგნ, ვისაც „ნინა ცხოვრება“ თე- ლის მოხრობალო. ვის აგმისა წლობი რომ

მოძებნა რომ სცადეთ, მაგრამ უშედე-
ვოდ, არათუ მისამართი, თურმე სახელიც
რომ არ გცოდნიათ მისი. ვიღაცებისთვის
ნარსულს რომ ჩაბარდა ის საღამოები „ჩა-
ის სახლში“, თუმცა შენთვის — არა. ძებნა
რომ გააგრძელე, კაცის ნაცვლად იმ ამბე-
ბის, რომლებსაც ჰყვებოდა.

ასაკის მომატებაც რომ არ დატყობოდა,
ნაოჭები მაშინაც რომ აჩნდა შუბლზე და
ახლაც... ტუჩებთან რომ მიიტანა თითო და
თვალებით განიშნა, ნინ იყურეო, რაც კვლ-
ა მაგიდისსენ გახედვას ნიშნავდა...

იქ კიდევ, პატარა კოლოფს რომ გადა-
სცემდნენ ერთმანეთს პარიკიანი ბატონე-

დღიდი დროულობამ ნაიღო ამ საქმემ, თითქ-
მის ათი წელი. წიგნებში რომ მიაკვლიერ მათ,
გაფარგულებს მოთხოვობებსა და რომანებ-
ში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენტზე
დანერილებსა და გამოცემულებში, ერთ
დროს მიუწვდომლებსა და მოგვიანებით
ხელმისაწვდომები. ვინაობა რომ დააგ-
ბი, კოლოფიდან რაღაც ფხვნილის მაგვა-
რი რომ ამონჰქონდათ შეტყუპვბული თითე-
ბით, ცხვირებთან რომ მიაქონდათ, იყნო-
სავდნენ და ხმამალლა აცემინებდნენ...

ინებ ამ ამბების ჟერსონაჟების, იმ ხალხის, ვის ნაცნობობას, ვისთან ერთად ყოფნას-აც იძრალებდა „ჩაის სახლის“ უცნაური სტუმარი...
იმედგაცრუებული რომ იყავი ძიების შედეგით. არაჩვეულებრივობის და იდუ-

არა, რომლის კითხვაც ამ შემთხვევიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ დაიწყება ნინასიტყვაობის მერე, პირველივე თავში, ოცდამეერთე თუ ოცდამეორე გვერდიდან მოყოლებული, იმ სცენას გადააწყდი, რომელიც სიზმრად ნახე:

ვრცელ დარბაზში, გრძელ მაგიდას პარიკანი ბატონები, ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრები უსხდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ და დროდადრო, ღერბიან კოლოფში მოთავსებული ბურნუთით უმსახურდობოდნენ არამარტინ.

ურასპინძლდებოდეს ერთმანეთს...
სიზმრად მყოფს მათი ხმებირომ არ გე-

ასეთმა დამთხვევამ, ერთ სიზმარში აღმოჩენილიყავი იმ ადამიანთან ერთად, ვის საიდუმლოს ამოცნობასაც ცდილობდი და ამის შემდეგ ხელში ჩაგვარდნოდა ნიგნი, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდს მასთან ერთად უყურებდი, ის რომ გაფიქრებინა, რასაც მანამდე უარყოფი — რომ ეს კაცი მართლა მოგზაურობდ ნიგნებში, მართლა გადადიოდა ერთი სამყაროდან, ერთი ეპოქიდან მეორეში, მეორიდან მესამეში და ას შემთხვევა.

აქრო შენმა გულმოდგინებამ, რა ფანტაზია, რომელი გამონაცონი, ახლადწაკითხული წიგნების ეპიზოდებზე ლაპარაკობდა კაცი, იმ ეპიზოდებზე, გამოირჩეულად

რომ მოსხობდა...
თითქოს ნათელი რომ იყო ყველაფერი, თითქოს ახსნილი რომ გქონდა მგზე-ბარედ თხრობის მიზეზიც, თუმცა, ერთი რამ მაინც გაურკვეველი რომ რჩებოდა — რატომ თვლიდა საკუთარი მონაყოლების მონაწილედ თავს, რატომ აჩვევდა მსმენელებს იმ აზრს, რომ ყოველ ჯერზე ჰყვებოდა იმას, რაც წინა კვირას გადახდა თავს.
მწიგნობარი კაცის ახირებად ამის მონათვლა, ფრიად პრომიტიულ პასუხად რომ მიიჩნიე, მაგრამ მატყუარად, ან მოჩვენების ტყვაობაში მცირდად შეირაცხას. მა-

კინც ეს ვერსია რომ ამჯობინე, ტვინის ჭულებთა რომ შეწყვიტე და უკვე ჩვევაში გადასულ საქმიანობას, ძველი და ახალი წიგნების კითხვას, რაიმეს აღმოსაჩენად და დასადგენად კი არა, ისე, გულის გადასაყოლებლად რომ მიუბრნდი...
რამდენიმე თვის შემდეგ სიზმარი რომ ნახე — დამეული ხილვების სამყაროში გა-

ე კი არა და ამა არ არ გადასაყოლებლი სახელგანთქმული მთხველი, რომლის რადიოპიესტს ლამის მთელი ლათინური ამერიკა უსმენდა ყოველ სადა-მოს...

რომ ის გვერდით ედგა ბილ კრისტიანის უმცროს მეგობარს, ბეისბოლის მოყვა-რულ ყოჩალ ბიჭუნას მაშინ, როცა ის აფთიაქის კარზე დაკიდებული ბოქლომის ჩა-

დაბარგებულმა, თავი ვრცელ, ნახევრად-
ჩაბნელებულ დარბაზში რომ ამოყავი. და-
რბაზის შუაგულში მდგარი გრძელი მაგი-
და რომ იყო განათებული მხოლოდ და
მოძრობას ცდილობდა, რათა რამდენიმე
გალონი სპირტი მოეპივებინა „ლომკით“
გათანგული უფროსი მეგობრისთვის...
რომ ის უაინსბურგელ ბერიკაცა, ექიმ

ისიც მკრთალად, ირგვლივ შემოწყობილ მაღალ შანდლებზე დამაგრებულ სანთლების შუქით. მაგიდას პარივანი, მუქი ფერის კამზოლებში გამოწყობილი ბატონები რომ უსხდნენ, მნიშვნელოვან საკითხზე სალაპარაკოდ შეკრებილები, თითოეული მათგანის გამომეტყველება ამას რომ მიანიშნებდა. ჰაერის შერჩევა რომ იგრძენი კეფასთან, თითქოს ვიღაც სუნთქვადა შენს რიფის დაჟყვებოდა ხეხილის ბალში, შეექცეოდა ტოტებზე შემორჩენილ, მოსაკრეფად დანწურებულ ულამაზო ვაშლებს და ოდნავ უკან მიმავალი, ღიმილით უყურებდა დანინიაურებულ თანამგზავრს, რომელიც ჯიბიდან იღებდა და აქეთ-იქით აბნევდა და დიდი ხნის წინ დაჭმუქნულ და დაგორგოლავებულ ქალალდის ნაგლეჯებს...

უკან. შიშმა რომ აგიტანა, თუმცა თავი მა-ინც რომ მიატრიიალე...
და ის კაცი რომ შეგრჩა ხელთ, ჩაის სახ-ლის მთხოვნელი, ვისი გამოც ნლები რომ მოანდომე იმ ხალხის ვინაობის დადგენას, ვის ზედაც ჰყებოდა. ისევ ის ქურთუკი რომ ეცვა — მზით და რეცხვით გამოხუნე-ბული, ისევ ის სათვალე რომ ეკეთა — ლი-ოთონის ჩარჩიოანი, დაკანწრული მინებით, მისპირზე, ქარიან ამინდში მეთუუჯე სავ-ლე გიორგაძესთან ერთად ღვინის დალევ-ას და მისგან, ვისაც „ნინა ცხოვრება“ თე-ატრში ჰქონდა გატარებული ჯერ მსახიო-ბად და მერე რეკვიზიტორად, იმის მოსმე-ნა, როგორ ეჩრიგნა არც თუ მთლად უსა-მართლოდ დათხოვნილს, მაყურებლობა, პარტეტრში ან ბეჭუარის ლოჟაში მოკა-ლათება — სცენაზე დგომას...



ნინი ელიაშვილი

ვინც მე ვერ მიცნო ყველა მოკვდება
ვინც ვერ შეიცნო ჩემში მესია
სულ გზა მერჩივნა გზის დამოკლებას
თანამგზავრები ალბათ მესვრიან

რომ გაიგებენ როგორ ვწელავდი
იმ ჯოჯოხეთს და იმ აღარაფერს
მათ რა იციან რომ დაწერამდე
ერთ სიტყვასაც კი ვერ ვუდალატე

და ჩემში სულიც მაშინ ადიდდა
როდესაც სული უნდა გათავდეს
რომ ვეღარასდროს მკითხავ მარტიდან
რომ ვეღარასდროს გეტყვი ზამთრამდე

თვალებს დავხუჭავ გადამიფრენს ფრთები ლითონის
რომ დავიწყების და ტყივილის თეთრი კაცი ვარ
ზაფხულის ღამის კლანჭებიც კი მშვიდად ვითოვებ
თოვლისფერი ფრთები დამცვივა

შენთვის მინდოდა ყველაფერი ათი ამდენი
ვერ დაიტიოს რაც მოგეცეს დიდმა მინდორმაც
ჩემი დაცემის გაცრეცილი განთიადებიც
შენთვის მინდოდა

თვალებს გავახელ გადმიფრენენ მურის მტრედები
დაფიქრებისთვის საემარისზე მეტი დრო გქონდა
და შენ იცოდი ჩემი მლახე გულისწყვეტებიც
შენთვის მომქონდა

მე რა გამეგო ვინ მტერია ვინ ნათესავი
არ დაიჯეროს მომატყუა ვინმე არიფმა
შენც რომ გამცემენ კარგად ვიცი პილატესავით
ხელებს დაიბანა

ვიქეცი წამლების ვერცხლისფერ ფირფიტებად
გულიდან სულელა იმედი მიფრინდება
სხვა კი არაფერი
ასე ვარ დღესძღვისით
რომ რაც ჩემი გვიყვარდა სულ იმას ესეოდნენ
და სულ ის უნდოდათ სულ იმას გვართმევდნენ
და საუბედუროდ ვიყავით მართლები

უცებ შეწყდა ჩემი გრძელი მარხვა
გასატანი გამაქვს მუდამ რქებით
ისე მოწყენილი ვარ რომ ახლა
მარტო კოკას ველაპარაკები

თუ სუსტისა და დამარცხებულს მნახავ
არ გაბედო ჩემი რამით შეველა
ისე მარტოსული ვარ რომ ახლა
ერთი კოკა მირჩევნია ყველას

თითქოს უცებ მომექსნება დარდი
თითქოს უნდა გადაფორდეს ლოდი
ჩემი სევდის მოზიარე დენდი
შთამბეჭდავი პოეტი და ლოთი

თავი მოგვაქვს თითქოს სხვისთვის ვზრდიდეთ
იმ სიხარულს ისევ ჩენენ რომ მოგველავს
დამიკრეფდა რუსთაველზე ტიტებს
შეგვზღვდოდით მე ტიტებს და კოკას

მენატრებოდა ალდგომა და წმინდა გიორგი
ღამის სოფელში მოსეირნე თეთრი მეცხვარე
მთელი ცხოვრება ახლა გული უნდა მტკიოდეს
რომ ცხოვრებაში არაფერი მე არ შევცვალე

ხელში ჩამადნა სანთლის აწმყო სანთლის წარსული
ჩემს ოცნებებშიც მეტი წილი ნამდვილს ეკავა
სულ მეხსომება ის ვარდები თეთრი ასული
უცებ თავზარს რომ დამატებდა დაურევად

რადგან გაცვეთილ მაგრამ მაინც ცვლად გზას მივყვები
და ჩემ მხარდამხარ მოფრინავენ მკვდარი ჩიტები
რომ მე მჭირდები ზუსტად ისე როგორც სიტყვები
რომლებსაც ვეძებ რომ აგისნა როგორ მჭირდები

ვერცერთ სიხარულს ვეზიარე ვერცერთ ბრალდებას
ვერ ვენდე თუმცა დამნაშვეს მუდამ ვეძებდი
ხან მეგობარიც ისე გულმოდგინედ ბრმავდება
ვეღარ იხსენებთ რას ეძებდით ერთად ვერცერთი

სახეზე ქარი წაიფარე წყლით სავსე ჰეშვი
იქნებ ეგ ქება წარმეტებოთ რამით გაყარო
რომ არაფერი აღარ დარჩა ცდის გარდა შენში
და ვილაც შენში ეძებს სამყაროს

ვინც წატვრა მინას მიაპარა ახლა გულით ვცნობ
ვინც სახლი ცეცხლში გახვეული ისე დატოვა
არც გაუხედავს ვცდილობ დარდი არ გავუდვიძო
ისეც მარტოა

ვინ მთავარ სიტყვას მიაკვლია და ვინ ლალადებს
ამ ფთვალავი უსარგებლო სიტყვის ამარა
ვინ სასწაული სანაზ სხვებიც დაინახავდნენ
ხარბად დამალა

ყველა რაღაცით მართალია ყველას ექნება
ერთი იმდედი ერთი წატვრა ერთი ლაბატი
რა აზრი ქონდა ამ არჩევანს რა ჩემ ფეხებად
მინდოდა თუკი სხვა არჩევანს დამიმალავდი

შენ ამირჩი არაფერი არ მემართება
რადგან ცხოვრებას მე ვეუყვერებ როგორც მაგალითს
იქ იყვნენ ჩემზე ძლიერები ჩემზე მართლები
არავინ იყო ჩემზე მაგარი

მზე გიცინის ზოგჯერ დალლილ ყელზე
მოხვედი და დარდი მომიყევ
ჩემი ვითვლიდით წყალთან იქროს თევზებს
ოცებებმა რომ გამორიყეს

ვარსკვლავებად მომანათებ თვალებს
და იჯერებ ყველა ნათელ აბსურდს
შენი გულის მდნარი სისუფთავე
სანთლიდ მიმდევს მუდამ შენგან წასულს

ზოგჯერ ისე შემომჭიდებ ხელებს
ვხვდები ვერსად ვეღარ გაგეჭვევი
რაც შენც იცი როგორ არ მაღელვებებს
შენთან ვრჩები ჩემი ფოთოლცვენით

ჩემი ყველა ორმოთი და საკნით
გიყურებ და ყველა მკვდარ წესს ვეხვ
ორი რამ მსურს მუდამ იყო აქვე
„და ცისფერი უბორებილო დღე“

კეთილი ვიყავ ვერ განვალე
სათანადოდ და სამედოდ
სუყველგან სადაც შეგასწარი
იქნებ მზის შუქი გამოეტო

სადაც მე გაჯობე ჭკუითაც
სადაც ფინიშთან მიგასწარი
იმ დამარცხებას თუ იტან
გამარჯვებასაც მიგასწარი

მერე ცხოვრება დალაგდება
მერე გაცვდება წატვრები
გპირდები რძისფერ ქალაქებთან
რომ აღარასდროს დავთვრები

რომ მე გაგახსენო მომავალი
რომ მე დამდალა წარსულმა
რომ წარსულიდან მომავალი
ისევ წარსულში წასულა

რატომ არასოდეს გაცალე
რატომ არასოდეს გაგრძელდი
გასახსენებელი არც არი
გზა არც მახსენდება არცერთი

მიყურებს ჩემი ძალი მართალი
ჩემ მიმართ ვყელა ბრძენზე დამნდობი
ერთი მეორის თავშესაფარი
ერთიანივე უტყვი მადლობით
ერთ წერტილს ვუმზერთ რონი მთელი დღე
და ერთიანირად კედლებს ვაწყდებით
ჩევნ სულ სხვა კარში უნდა შევიდეთ
სუყველა ცდება ჩევნ თუ არ ვცდებით
ვცდილობ ხანმოკლე მაგრამ მზიანი
ყოფნა ვისწავლო მისგან ჩიტების
სიყვარულითაც ვგავართ ერთმანეთს
მე ვუცდი უფრო თავაზიანად
ვინ მეტყვის როგორ არ ვჭირდები
რა საჭიროა ვიც ღმერთმანი
გადამიდგება შიში ცხრათავა
რომელთან ვიყო უფრო შემტევი
საღმოვდება და ცუდადა ვარ
და წინ მიმიდლვის თეთრი სეტერი

ქვეყნად ვინ აღარ მომიცილა
ქვეყნად ვინ აღარ მოვიცილე
ჩემს ხუმრობებზე რომ იცინა
მე ჩემს ტკივილზე რომ ვიცინე

ქვეყნად რა აღარ დამაბრალეს
ქვეყნად რას აღარ ვიბრალებდი
მახსოვს ჩუმად რომ გამაპარე
სადიდებლად რომ მიბარებდნენ

ქვეყნად ვინ რას არ მიშავებდა
გულში ვიკლავდი შემცბარ ლოდინს
დავიმახსოვრე შიშთან ერთად
ყოველ დილით რომ მზეც ამოდის

ქვეყნად ვინ აღარ დამიკიდა
ქვეყნად ვინ აღარ დავიკიდე
ჩემი სახლი რომ გაყიდა
მეც მასთან ერთად გავიყიდე

ქვეყნად ვინ აღარ გამახარა
ქვეყნად ვინ აღარ გაგახარე
რად არ მეწვევი ამაღამ რად
მოდი და მინა დამაყარე

უკე იმდენი ვიოცნებე
ახლა ვინმე თუ შემისახლებს
მის ოცნებაში მიმოზებით
მოუსვენარი ჩემი ძალი

როგორც შედგარი ახალგაზრდა
ვიჯგიმები და ვიდამები
სინამდვილებში აღარ გარდა
და ახლობლები მიხირებენ

მიყურებ მხდალს და მიწიანს
ყოფას რომ ლექსებს ვანავ
წარსული არ დამიწვია
მომავალს რატომ დაგრევა
დასრულდა ის რაც დასრულდა
მაინც ჯიტად ვარცხნი
რჩება წალველი და სუფრა
სამყოფი ერთი კაცის
ვუმზერ ხაკედლარს ნაჭერალს
სულ ერთი კითხვა დამრჩა
რაც ჩანს ის რატომ არ მჯერა
და მჯერა ის რაც არ ჩანს



კოკა არჩვაძე

ჩაი ნისლში

ერთი შენ და ერთიც მე.
ასე გავ ყველა დღე.
შენ შეუკრივ ნისლებს თავს,
ყველა დღე ხომ წინას გავს.
სველი ხის იდგება სუნი,
ჩიტი ხისქვეშ გაყურსული
გამოგხედავს შუშის თვალით
და შენს თვალში ცოტა წყალი
გაგარჩემებს.

ერთი შენ და ერთიც მე.
სახლის წინ გაქვს დიდი ტყე.
შეხვალ, შეხვალ, ცერსად წახვალ,
ვერ გაიგებ რამეს ახალს,
ვერც ვერაფერს ვერ იწავლი,
ცოდნით უკვე მოინამლე,
თავის იცი ფასი-გროში,
ცოტა ხორცის, ცოტა დროში
გამომწყვდეულის.

ერთი შენ და ერთიც მე.
ათწლეული, წელი, თვე,
გავა, როგორც სამი წამი,
როგორც — 1, 2, 3,
როგორც მწვანე ფერი ფოთლის,
ფოთლებს კიდევ ვინდა მოთვლის.
გიჭერს მინა ფეხზე ფეხვებს.
ხვალ წახვალ ან იქნებ დღესვე,
ეგეც არ იცი.

იყო დრო, ნორჩი მერქვა სიმღერით

იყო დრო, ნორჩი მერქვა, სიმღერით
სიყვარულს ნიას არ ვაკარებდი,
ყველა გზისპირზე ყვავილებს ვკრეფდი,
გულით შოშიებს დავატარებდი.
და გაქრა, თითქოს სულ არ ყოფილა,
ვერც შევამრინე, ისე დაგბერდი.

დღე გაფრინდება ფერად ჩიტივით
და სხვა დღეებში აბურდება,
რომელთა შორის შორი და მწველი
რომ ველალოთ უნდა, როგორც ქურდება,
დღეები გულში ლრმად მყავს დაბმული
და ვუშვებ, როცა ყოფა როულდება.

მე ყოველ დილით ვბრუნდები უკან
სიზმრის ფერადი სამკაულებით
და ჩემს თვალებში ჩუმად ფეთქავენ
აღარმომხდარი სასაულები,
და ცხადის ენით უფასურდება,
სიზმარი ქრება პირში უღლებით.

გასაგებია, მაგრამ ასევე
არის საწყენი სიმართლე მტერარი:
რომ ასე მოხდა, ასე აეწყო
და მე მყავს ცოლი და შენ გყავს ქმარი,
და უნდა ვზიდოთ ორივემ ჩევენი
არათანაბრად მოქრილი ჯვარი.

გასაგებია, მაგრამ მე მჯერა,
რომ ვინც გვიყვარდა, ჩვენ გვიყვარს მუდამ,
რომ ყველა დროში ერთად ყოფნისგან
კეთდება ჩვენი ცხოვრების გუნდა,
და ზოგჯერ, ჩემთვის მოულიდნელად,
შენი სხეულის სურნელი მგუდავს.

ორაირში იატაკზე

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი
და სითბოში ჩამოსულ რუსებს დავცინოდი,
მათ შთაბეჭდილებებს.

ორპირში დავსხედით, დრო რომ დაგვეშალა,
გაფიტორებულები
და ხელებიც არ გვემორჩილებოდა;
არათუ დრო,
არათუ საქართველოს ფოსტა,
არათუ მანძილები მეგობრების გულებამდე,
არათუ ცის მოძრაობა ჰუდგადაცმულ თავებზე.
თითქმის არაფერი.

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი
და სითბოში ჩამოსულ რუსებს დავცინოდი,
მათ შთაბეჭდილებებს.

გამქრალი ნივთიერი საბუთის გარეშე,
ტოპონიმიერის და ფლორისტიკის აღკვეთით,
სივრცის მაგივრად
მხოლოდ დროში დარჩენილი,
ოფიციალურად მისასვლელის გარეშე დატოვა
ბილიკები ვარსკვლავებს შორის
და საკუთარი თავი მზესავით.

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი
და სითბოში ჩამოსულ რუსებს დავცინოდი,
მათ შთაბეჭდილებებს.
მბრუნავი სამყაროს უძრავ წერტილში.

როგორც ძველ წიგნში გამხმარ ყვავილს,
საკუთარ ხელებს ვუყურებდით
ორპირში, იატაკზე.
პირობითი იყო ყველაფერი,
ერთად ყოფის გარდა
და უანგბადი, დრო,
დავინყებული ბილიკები
ტყიდან მინდვრისკენ.

ერთი, ორი, სამი.

ვყმუდე ლექსებს ცივი გზების პირზე,
ორპირში გაჩერებულ დროის,
კაიფში გადახსნილი გულის,
სისტემა სისხლძარღვების რთული,
ყვებოდეს გადახვენილ გმირზე.
ისმოდეს წამის ისრის წანა
და კვლავშეხვედრის სიმარტივეს ნანატრს
პლანი დაკვდეს, თუ არ დაახანა.
მივადე მშვიდად სამუდამო მხარეს
ორპირში შეყვნებულ სივრცის
გადაღმა, სადაც უკვე ბევრი მიცდის,
გავფურჩენი გადაქანცულ თვალებს,
როგორც ძველ წიგნში გამხმარ ყვავილს.
ამენ.

მივადე მშვიდად სამუდამო მხარეს,
ორპირში შეყვნებულ სივრცის
გადაღმა, სადაც უკვე ბევრი მიცდის,
გავფურჩენი გადაქანცულ თვალებს,
როგორც ძველ წიგნში გამხმარ ყვავილს.

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი
და სითბოში ჩამოსულ რუსებს დავცინოდი,
მათ შთაბეჭდილებებს.

იატაკზე განვისწავლეთ დრო.
გაგვახსნდა მთაწმინდაზე, პალმის ქვეშ,
როგორ ეწებებოდა ერთმანეთს წლები
თავითან თითქობვით, ასალოკად გამზადებული,
დასოციატივების ნამცეცები ფოსტის ქვითარზე
და სუსტი წარმოდგენი
თანმიმდევრობის მკაცრ პარმონიაზე.

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი

ის ლაპარაკობდა ცოლზე და მეგობრებზე,
ყველაზე ძვირფას ადამიანებზე ჩემთან.
ორპირში ხსნიდა დექსტრომეტორფანი
სხვა კავშირებს.
კატები არიან ადამიანები და არიან ძალები.
ჩვენი ძალობა ვიყულისხმე,
იგულისხმებოდა,
იყო ნაგულისხმევი.

საკურორტო ქალაქის ქუჩებში
ცოლთან ერთად ვსეირნობდი
და სითბოში ჩამოსულ რუსებს დავცინოდი,
მათ შთაბეჭდილებებს,
როდესაც მთელი ძალით ჯებირს ვხიე ფეხი
და სიცილი აგვიტყდა.

დროის დათვლილი მარცვლები,
შუშის პატარა ბურთულები,
დაგვეყანა თესლები გასული რეკვიემის,
გაგორდნენ და ქორო მხოლოდ ემზადებოდა.
და ჩვენი ძალობა იყო ნაგულისხმევი.


ორპირში. იატაკზე.

ტკივილის ცრემლები ვყლაპე გაცინებულმა.

იმიტომ, რომ
მე ვიყავი ძაღლი ძვლის გარეშე,
იმიტომ, რომ
მე ვიყავი უპატრონო ძაღლი
ვაგზლის მოღანთან,
საბჭოთა გასტრონომებთან,
მეგობრის ორპირ ითახში,
მოწყენილ სიზმრებში
და ყველგან.

ერთი, ორი, სამი.

ვყმუდე ლექსებს ცივი გზების პირზე,
ორპირში გაჩერებულ დროის,
კაიფში გადახსნილი გულის,
სისტემა სისხლძარღვების რთული,
ყვებოდეს გადახვენილ გმირზე.
ისმოდეს წამის ისრის წანა
და კვლავშეხვედრის სიმარტივეს ნანატრს
პლანი დაკვდეს, თუ არ დაახანა.
მივადე მშვიდად სამუდამო მხარეს
ორპირში შეყვნებულ სივრცის
გადაღმა, სადაც უკვე ბევრი მიცდის,
გავფურჩენი გადაქანცულ თვალებს,
როგორც ძველ წიგნში გამხმარ ყვავილს.
ამენ.



თამარ ჟღენტი

მზავია
სიმღერა

მზე მირჩევნია შენს თავს, მზე.
მზე შენზე მეტად მიყვარს.
სხვას ადარც გადრო — ყველგან მძლევს
შენი სულ ერთი სიტყვაც.

მუდამ ამაო შფოთვად მსდევ,
ირგვლივ ყველაფერს ჩრდილავ.
მეთქმევინები ლოცვამდე
ყოველ სალამოს, დილას.

მზელა მახსენებს: რაც შუქს მძენს,
მათბობს და ისე ბრწყინავს, —
შენ ვერ იქნები. ჩემი მწე
ის ხდება, როცა ბრიყვად

გადავიქცევი — იმედს ვზებ
სურვილის ტალახისგან,
შესაბრალისად ვირევ გეზს,
ნავს მიმსხვრეს ტალღას მიხლა.

როცა სიკვდილის სუნი მცემს,
მინდა ჩავემხო მინას, —
მზე მოდის, გულზე მკოცნის მზე,
მშველის, ჭრილობებს მიწვას.

მზე არასოდეს იცვლის ზნეს,
ჩადის — ბრუნდება, გინდაც
ძალიან დაუგვიანდეს,
ლოდინი მუდამ ღირს და

თუ ისიც დასდევს ლამაზებს,
გულს განა შენებრ მიკლავს,
ყინვასავით რომ დამაზრე,
თავს ყიამეთში მიკრავ.

მზე მირჩევნია, მოკლედ, მზე! —
ამოდის, ხელში მიყვანს.
ესაა, ლექსებს ვერა მწერს.
მაგრამ რა უჭირს. მი-ყვარს!

თვითკარობა

ასე იცის — არ უნდიხარ,
როცა მოსვლას ევედრები.
მხოლოდ მერეო,
როცა უკვე ბედს ეგუები,
როცა ლოგიკას გამოცები
და მანკირ სიხარულებს
ჟანგბადივით ყლაპვას დაუწყებ
ხარბად, ანგარიშმიუცემლად
(მძიმე სულხუთვის შეტევისგან
თავდასწილი ასთმიანივით,
რომელსაც იმ წამს
დაბინძურებულ ჰაერსა და
ოზონის შრის გათხელებაზე
სიტყვას ვერავინ ჩიმოუგდებს),
როცა გულს ჩუმად აპატიებ,
და მკაფიოდ იგრძნობ, თურმე
რა ასატანი ყოფილა ყოფა,
მაშინ მოვაო.

როგორც შენზე ყურებამდე შეყვარებული,
ერთბაშად ხელში აგიტაცებს,
და შესლილივით, ან პირიქით, გრაციოზულად,
ნელა ნაგიყვანს სარეცლისკენ,
სადაც მთელი ეს დრო გიცდისო.

და იქ თურმე, ყველა მკლავსო,
რომელიც კი მოგნატრებია,
ერთად შემოგხვევს,
ყველა იმ სიტყვას ჩაგრძელებს,
მოსასმენად გულს რომ იჭამდი,
ერთიანად დაგრცნისო
ყველა იმ ბაგით, ოდესმე რომ მოგდომებია,
შენი რჩეული ქიმერების ყველა ასოთი
ერთდროულად შემოგეგ ზნება,

ხოლო ეს შენი ვნების ბორგვა,
კვენა, ცხხახი,
თუ ვინმებ ნახა,
აგონია ეგონებათო.

ასე იცის,
მაშინ არ კვდები,
როცა გინდა,
მერე — იცოცხლე!

მერე, მერე...
მაგრამ კი ღირსო, იმ მერესთვის დალოდება,
ნამდვილად ღირსო.
შენს ყველა ერთგულ საყვარელთან
თუ უფარგის მეტროებთან განცდილსაც სჯაბნის,
თურმე ისეთი სიყვარული სცოდნიაო
საკუთარ თავს
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ასეაო — თუკი სიზმრის ანგელოზებს დაეჯერებათ.

სიბილას სნავლება ახალგაზრდა ქალისთვის
Meden agan*

ცრემლით შენი ბალიში
დიდხანს უნდა ალტო,
სანამ იმას მოინევ,
რასაც ასე ელტვი.

შენი თავის ალერსში
უნდა გაინაფო,
სანამ გვერდით მოწოდილ
მას დაენაფები.

მოვა. ფანჯრით მომზირალს
მკლაზე გადაგინვენს,
საზარდულით მოგზიდავს,
ბაგეს გირწევს, გირწევს...

იმას უნდა აცალო,
იმან უკეთ იცის, —
ქარვა მტევნით ჩაცალო
თუ უბეში იცე.

უტყვად უნდა მიენდო,
სიზმრად ხედავ ვითომ,

მხოლოდ ნაზად მიედო,
დანარჩენი — თვითონ.

როცა ტანზე მოგიხვევს,
იგრძნობ შვების ოხვრას,
არ ნამოგცდეს — „მომიხველ,
კიდევ როდის მოხვალ?“

თორემ მერე ბალიში
რაც არ უნდა ალტო,
ვეღარ ნახავ ბალიში
მოხელმნიფე ლტოლვილს.

* meden agan — ბერძნ. „არაფერი ზედმეტი“ — ნაწერა დელფინის აპოლონის ტაძრის კარიბჭეზე.

მელიას კუდი

როცა მიყვარხარ — ყველას ვყოფნი,
ყველას თავისად ვეზვები,
მაშინ გამომდის ყველას ტკბობა,
თუ შენ მიყვარხარ.

ამ სიყვარულს თუ ავიკრძალავ —
აღარავინ მეტევა გულში.
მსაყვედურობენ,
მატირიან —
„რამ შეგაძულა ჩვენი თავი“.

მე ვიუარებ, სიტყვას ბანზე ავაგდებ ხოლმე,
მერე ვწვები დასაძინებლად
და თავს წებას ვრთავ,

იმათ გამო. ჩემთვის კი არა.
იმათ სიმძიდეს სჭირდება,
რომ ისევ მიყვარდე.

„მე ამ საქმეში უბრალო ვარ“.

„აპარატი თუდოა ხისაო“

ნა, ორთავ მუხლზე ამბორს გცემ, —
არ შედრე ქავარდნისაო.
ნუმც უსასოდ ავბორგდე
შენი ტყვედ ჩავარდნითაო.

ლაშქარს მოლევდე უვნები,
მზე გედგეს უნაგირსაო,
მტერი შეგვერას ხუნდებით,
გყონ ოქრომკედის ლირსადო.

მო, ორთავ ნებზე გემთხვევი,
ნაწავს დაგაშლი ღანგეზეო,
ტანს ვაზად შემოგეხვევი,
ბაგით უბეზე დაგწვდეო.
გული რკინისა გიცემდეს, —
მაინც ცომივით დაგზელო,
ენით ჯინჭველებს გისევდე,
მკერდით დაგანე ლაჯზეო,
თვალი ქირებულ მსედველნი
მიგალულინო მკლავზეო.

იშის სალალობო

უბრალოდ ასე მოგვწონს —
ერთ სურვილს ჩავისახავთ
და ვაცდით, მოგვართვას
ის, რასაც მოველით.
თორემ ქალის გული
მთლიანად შავი ზღვაა,
და არა მისი რომელილაც მორევი.

ხარცულის პლუზი

რა ძალა აქვს ამისთანა შენს სახელს —
გავიგონებ, გული ამომიჯდება.
მინდა, ყველას გასაგებად შევძახო,
მაგრამ იქნებ უნებურად შევლახო
და ვინ იცის, ძვირადაც დამიჯდება,
შემიტყობებ — რალა დალევს დამძრახველს.

გითქვამს, ყინვა დააზრობს ნაზ ძახველს,
სიცივეში ვერაფერი იზრდება.
შენ არ იცი, რა ძალა აქვს შენს სახელს!

გავიგონებ — გეგონება მზეს ვახებ
უბეს, ისეთ სიმბურვალეს იძლევა.
რა იქნება, ერთხელ იმ დროს შენც მნახო,
ვინძლო გზების სილრმისათვის შემაქო!
აფსუს ყანას ჩემს მერდში რომ იძნება,
ხელს სხვა, შენ თუ არ გალენავ, ვერ ახლება!

სულ შენი ვარ, მაგრამ როგორ გავამხელ,
შენით მიხვდე და ეს მითხრა, იქნება —
მართებულად დავპირალე მაგ სახელს
თუ სხვაც ყველა ასე გამახელებდა?

პოვი

არაფერია არსიყვარულზე
უფრო მყარი და საიმედო:
ცეცხლი იმას არ ეკარება,
ქარიშხალი ვერ აცამტვერებს,
წყლიდან მუდამ მშრალი ამოდის,
მინა ფეხქვე არ ეცლება,
უძრეკი და აღერილია;
სულ იქ რჩება, სადაც იყო
და როგორც იყო.


მხრებჭაშლილია არსიყვარული,
არც განბილების კუზი ადეგს,
არც ვნების კრუნჩხვით იკუნტება,
მონატრება ვერ მოჰკვეთს მუხლებს.
კამაყოფილია არსიყვარული,
სავსე დიდი უსურვილობით.
საკმაოდ მოკლე ფეხები კი აქვს
და შორს ვერ წავა,
მაგრამ თავისი გრძელი კისრით
შორს გახედვა შეუძლია, —
და ამის მეტი არც სჭირდება.

ბრძენი არის არსიყვარული.
მხოლოდ იმას ლაპარაკობს,
რაც საჯემეს არგებს —
არ მრისხანებს, არ ხოტბიანობს,
უგებს, ულხენს, იღებს, უშებს,
უშიშარია.
განა იმიტომ, დასაკარგი არ ჰქონდეს თითქოს,
სულაც პირიქით.
ყველაზე უფრო მომხვეჭელი
და მეთავისე
იგია, მაგრამ
განა მინა დარდობს ხოლმე
რამდენ მტკაველს ფარავს თოვლი,
ვიდრე გადნება?

არხეინია არსიყვარული,
უზრუნველი,
უდალატები,
და ცხოვრობს
დიდხანს, ბედნიერად.
მშვენივრად, სათხოდ.
სახამ
ის, ის,
უხეირო,
ბრმა,
მოცახცახე,
შიშველ-ტიტველი,
გააგონებს —
გევედრები,
ამ კოშკიდან ჩამომხსენიო.

ზღაპრის პოლი

მოდი, თავს ნუ მოიშტერებ და ნუ გადაწყვეტ,
თითქოს იმიტომ მოგწონდე, რომ
ან ლამაზი ვარ, ან ჭკვიანი, ან ისეთი ან ასეთი.
არა.
მოგწონვარ
მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ,
ეგ დღეც დადგა და — შეგიყვარდი.
ხოლო თვითონ ამ სიყვარულის
მიზეზების გამოსარკვევად
შეგიძლია, უსასრულოდ იხეტიალო —
მე ვერ დაგიშლი.
ი, ბატონო.



მარი ჩხაიძე

* * *

თოვდა და ტყეში ვიყავი
მყლავები შემით გავიგეს და ნელა დავეშვი სახლისკენ
ღუმელში დარიჩინან ვაშლებს ვაცხობდი
კარები შევალე
კომშის კომპოტი ქვაბიდან გადმოდიოდა
სახელობი დავიგრძელე და ნაპირისკენ ჩავაჩოჩე
ფანჯრიდან კი ფორთოხლის ხები ჩანდა
თქვენ ასეთი რამები მოგწონთ
სინამდვილეში მე ამ ამბებით ძალიან ვიღლები
თითქოს ყველაფერი ახლა ხდება
თავისუფლების მოედაზე ჩავიარეთ მე და ბავშვებმა
ამერიკელი ინდიელები საკრავებს ყიდდნენ
ბამბუქები ბამბუქები ბამბუქები
ტყეში ავედით მე და ჩემი ორივე შვილი
ხელში ნაჯახი მეჭირა
სამი ბამბუქი მოვჭერი
და სამივე თითო თითო წამოვიღეთ
იატაზე დავჯექი
და დავიწყე სათამაშოების გამოთლა
ქარი იყო
ბავშვებს ქურთუები არ ეცვა
მეტროში ჩავედით
ორივემ თავი მომადო
დალლილი ვარ
გვამხილე
მალე მივალო მითხრა ილი
თვალები დავხუჭე
მწყუროდა

* * *

რაღაცნაირი დღე იყო
ჯერ ელავდა
და არამხოლოდ გარეთ
გონება ისე დამეკარგა არ წავქცეულვარ
ფანჯარასთან ვიდექი
და ყველაფერმა ერთად წამიღი
ვეძავდი როგორ ღრღნიდა ეზოში მიყრილ ნივთებს
მეზობლის ძალი
როგორ აწვიმდა საბანს
როგორ დარბონენ თავახში ბავშვები სიცილით
და ქუხდა და ქუხდა
და ვერ ვიგებდი რომელი ამბავი
რომელი ქარი
რომელი ხეს
უფრო სარწმუნო იყო
საყინულე გავალე და ყველაზე ციფი რაც ვიპოვე
ხელებს ვეუჭერდი
წყალი შენც გინდაო?
ახლავე მოგანდებ მეთქი

* * *

თავს იმით ვიმშვიდებდი
რომ შესაძლოა
ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვა ყოფილიყო
ამაში კი ხშირად ვიყავი მართალი
2500 კვადრატული მონა ფერმერისთვის
დიდი გამოწვევა არ უნდა ყოფილიყო
მაგრამ მე ფერმერი არ ვიყავი
ვიყავი მხოლოდ შთაგონებული
და ვისაც ერთხელ მაინც განუცდია შთაგონების ძალა
ის ყველაფერს მიხვდება
დილის შვიდ საათზე წამოვდექი უკვე ცხელოდა
იქვე ემალის ყვითელ თასში ხელები ჩავიარი და
თბილი წყალი სახეზე შევისხი
გარეთ ჯერ კიდევ ყველაფერი სეველი იყო
ცვრიანი
კვლებს შორის არხთან ჩამოვჯექი და
სათითაოდ დავიწყე ფხვიერი მინიდან
ბალახების ამოთხრა
მხოლოდ მზემ რომ ძალიან დააცხენა
მივხვდი რომ შუადღე მოახლოვდა
სახლში შევედი და უზარმაზარ ჭურჭლის გროვას
შევავლე თვალი

წყლის დალევა მინდოდა და

პირდაპირ ინკანიდან დავლიე

სადღაც ძეველი ქუდი ვიპოვე მეზობლის

ჭილოფისგან მოქსოვილი

რომელიც ერთხელ ვითხოვე და არ დავუბრუნე

ველოსიპედი გამოვიყვანე და დავეშვი დალმართზე

საშინლად ცხელობდა

მაგრამ უსწრაფესად მივქროდი და

თვითონვე ვიყავი ქარი

მაღაზიაში შევედი და სიგარეტი ვიყიდე

ვიფიქრ იქვე მოენენ მეთქი

მაგრამ დღეისათვის ველოსიპედი და

თხელი კაბაც საკმარისი იყო

ადგილისთვის სადაც ისედაც არაფერი ხდებოდა

უბრალოდ მდინარეზე ჩავედი

და ცოტა ხანი გავირინდე

უკვე მერამდენე ლამეგა

ერთი და იგივე კადრს გხედავ შუაღამისას

როგორ შრიალებს სიბრელეში ხეები

თუმცა ამ დღეების გამავლობაში თავად მე

არც ერთხელ ვყოფილვარ ერთი და იგივე

და ამინდებიც შესაბამისად

და ტყის შრიალიც.

მხოლოდ კადრი ერთი შეხედვით

რომ წარმოიდგინოთ

ერთი და იგივე

ბავშვებს ვაძინებ

ხის კიბეებით ვეშვები დაბლა

და ტყეს ვუყურებ

მომწონდა თუ არ მომწონდა

ამას მიშვნელობა აღარ ჰქონდა

თოვდა და ეზოში გავედი

უზარმაზარი მორბები დავაგოროვ დალმართზე და

ნაჯახს გამეტებით ვურტყამდი

შებინდებამდე რამდენიმე წამით ადრე

ცეცხლი დავანთო.

ბოლოს და ბოლოს ამ ყველაფერს

იმიტომ კი არ ვაკეთებდი რომ მციოდა.

იმ წამის ყველა ღმერთი სხვისი იყო

და საერთოდაც გულწრფელი ვიყავი ჩემს სიუხეშეში

ცეცხლზე ჩაიდანი დავდგი

და წყალმა იმდენ ხანს იღუდა

ვიდრე ორთქლმა სრულად არ დაფარა ფანჯრები

დროს გააჩერებ?

იცი რა მოსდის ჩაკეტილ წყალს?

რა მშვენიერია არა?

გზა

უსასრულო ავტობანი

როცა იცი რომ იქ ხარ სადაც არასდროს ყოფილხარ

და ასევე იქ სადაც არავინ გიცნობს

ახლა ვისხენებ

რამდენ აეტოსტომში კოფილვარ მარტო

და რამდენ ქუჩაში მარტო

და რამდენ ამბავში მარტო

და არც ერთი წამით და არასდროს შემშინებია

კიდევ უფრო უცნაურია

რომ ახლა გაჩერებამდა გაჩერებამდე შესაძლოა

მანქანის მსუბუქმა დამუბრუქებამ

ისე დამაფრთხოს მთელი დღე გამყვეს

ასეთი ამბავი სევდიანი არა

რამდენ აეტოსტომში მარტო

და რამდენ ამბავში მარტო

მეც მაფიქრებდა

ასეთ ადამიანებთან ათი წუთიც ვერ ვჩერდები

ଭାବାକାର୍ଯ୍ୟଳୀ

შვებულების მეთერომეტე დღე
14 სექტემბერია დღეს. გავიღვიძე სა-
დღაც 8 საათზე. ვუყურებ მეცხრე არხს.
იმედია, ყურადღება მომემატება. ჩემს ძმ-
ისშილს ლაშას სიცხე აქვს, ტყვებისცალია.
თიოსთან გასვლაც შეიძლება. ნინოს წიგნი
უნდა დავუბრუნო აუცილებლად. ახალი
ინფორმაციის მიღება უჭირს ტვინს (კოტა).
გუშინ მამაჩემის მანქანას გაკრეს და დღეს
რიუამ მოაკითხა და წაიყვანა. ემზარის მან-
ქანას რიუას ავტოფარეხთან გაკრეს. გად-
მოვიდა, გადამკოცა. 5-ის ნახევარზე შევ-
ხდი ნონას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია-
სთან. მოვიდა ძალიან ლამაზი იყო. „ლუკა
პოლარეს“ ნაყინი მივირთვით და შემდეგ
ვისხედით ბალში. სიონის ეზოში ალარ დავ-
სხედით. შემდეგ ნინო მოვიდა, შემდეგ კი
— თიო. მაჭახელაში დავსხედით. დიდი მე-
გრული ხაჭაპური და დიდი ლობიანი შე-
ვუკვეთეთ. მე მურმან ლებანიძის ნიგნით
ვიყავო. სახლში რომ მოვედი, თემო დამხვ-
და. ცოტა უნდა გავხდე. თათულიმ წამშა-
ლა ფქ-შიც და სკაიპშიც და წავიდა. დღეს
შეიძლება კაბილის ექიმი ავიდე. გუშინ
სარდაფში მოვფის, მეზობელმა დამინახა.
„გარგანტუა და პანტაგრუელი“ უნდა წა-
ვიკითხო მერე. იმედი მაქვს, ქართულ ენას
კარგად დავეუფლები. თიოზ „მაჭახელაში“
თავისი თუთიყუშის ნივთები ამოალაგა და
მაგიდაზე დააწყო. თუთიყუშები უყვარს.
გაჩუქებთო წყვილსო, ნონას და მე გვი-
თხრა, „განუყრელები“ ჰქია ჯიშსო. ორ
დღეში მუშაობა უნდა განვაახლო. მინდა,
გამოვაცხადო პროტესტი და არ მოვწიო
სიგარეტი. მინდა, გამოვაცხადო პროტეს-
ტი და არ შევუშინდე ავადმყოფობას. მინ-
და, გამოვაცხადო პროტესტი და არ ვჭამო
მსუყედ. მინდა, ვიყო ისე, როგორც ადრე
ვიყავი. მინდა, არ მოვიხმარო კომპიუტერი.
მინდა, არ მაინტერესებდეს ფეხბურთი,
მაგრამ მაინც რომ მაინტერესებს?.. მინდა,
ავაშენო უფასო ფიქიატრიული საავადმ-
ყოფო და იქ იყოს ძლიერ ჰუმანურ მოპყ-
რობა. მინდა, ვიმღერო: იმეიჯინ ზერ ის
ნოუ რელიჯიონ.

შვებულების ბოლოსნინა, მეთორმეტე დღე

ეს დღე მე და ნონამ ერთად გავატარეთ. შევხვდით ვაკის პარკთან და ვინაიდან იქ კონცერტისთვის მზადება იყო, ლესელი-ძეზე წამოვედით. დოდახსნას ვისხედით, ვლა-პარაკობდით. შემდეგ რუსთაველის კინო-თეატრის ფორეში დაგსხედით. ახლა 15 სე-ქტემბრის დილაა. ვწერ უკვე. ოჩილას შესა-ხებ მაშუა ხერხეულიძის მოთხრობა წავ-იკითხე. გუშინ ნონამ შოკმანუჟ მაჭამა და ცივი ყავა დამალევინა, კინოში შესვლაც კარგი იქნებოდა. მე ბევრი ველაპარაკე. ამ დღილით 7 არ იყო, რომ გამეღვინდა. ახლა 9-ის წახევარია. დასალევიც არ მესმევა. ჰო-და, რამე უნდა მოვიფიქრო. 1 ოქტომბერს მივალ ალბათ, ან არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე. ახლა სმს მომწერა და მაგიდას-თან მისვალა მეზარება, დივანზე ვზიავარ. მაცემინებს, გაციებული ვარ. კინო რუსთ-აველში კარგი იყო. იქით ბავშვები ბუტბუ-ტებენ. წინას წუხელ არ დასძნებია, რა-ტომ არ ვიცი, ალბათ დელავდა. ვაპირებ, აჭარაზე ჩავირიცხო 10 ლარი და ვითამა-შო. შორინ, კი ღირს. მაგრამ რატომ უნდა გავფლანგო მამაჩემის წამუშევარი?! არა და არა. კატიკ კორძაძეს ალბათ კიდევ ვიხ-ილავ. ახლა მივალ მაგიდასთან და წინას მესიჯს წავიკითხავ. აუცილებლად აუცი-ლებლად. დავათვალიერე ხ-ის სურათებიც, იყო რა, არა უშავდა რა. ახლა თიოს მივწერე. გუშინწნინ მაჭახელაში კარგი იყო. მდგომარეობა ჩაწყარებულია ისე. ძალიან მაგარი ცივი ყავა და შოკმანუჟ მომართვა. ვენევი ბევრს და ვწერ და ვწერ სულ. სულ, სულ, სულ. უკვე 16 სექტემბერია. ხვალიდან მუშაობას ვინყებ. ფრონიდის წაკითხვაც შე-იძლება. გუშინ ჩემმა კნუტმა წამიყანა და ბევრი მატარა, ძალიან ბევრი. ძალიან ძალიან ბევრი. შვებულების ღლების შემდგომი შეხვედრები გრძელდება. ვიყავ-ით დედაჩემის სასაფლაოზე დილომში.

უაილდი ამპოგდა

ოსკარ უაილდი ამბობდა, კლასიკოსები
ის მწერლები არიან, რომელთა წიგნებს მო-
იქრულსა და გაუჭრელს ინახავენ ხოლმე
საწიგნე თახჩებზე, მაგრამ არავინ კითხუ-
ლობსო... მწერალი უნდა იყოს დიდი და კი-



ଭାରତୀୟ ଜ୍ଞାନପଦ୍ଧତି

ფრაგმენტი მომავალი მოთხოვიდან

თილშობილი გულის პატრონი, მხოლოდ
გულით სპეციალურად გამზღვის თუ გამზღვის
ოდესშე დიდი მწერლები. კონსტანტინე გა-
მსახურდია: „ოსტატის მიერ გაეკეთებულ
საქმეს რომ ჩაუვლი ყრუდ, ეს არის შური“.
ზოგიერთ კაცს იდეალურად აქვს მიჩნეუ-
ლი ისეთი საქმე იშოვოს, რომ იოლად გაი-
ტანოს თავი. ამოცანის გამოყვანის შემდეგ
უნდა დაგვაკვირდე შეკდომებს, რომლებს-
აც ვუშვებდი, სანამ სწორ გზას ვიპოვი
„ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობაში
ბალზაკი წერდა: „შემთხვევა უდიდესი რო-
მანისტია ამ ქვეყნისა“.

არა ჰყავს“, „დედა შვილს არ აიყვანს“, „ჩა
მოხვალ, თუ პოლიციას გამოვუძახო“. ფი
ლმებიდანაც ხშირად ამბობდა ფრაზებს
განსაკუთრებით ხშირად: „გარღვევა მაქვე
დეფიციტში“ და „ლოთი კი არა, ეგოისტია“
მეც ვთამაშობდი ჯოკერს. თამაშის დრო
ყოველთვის რაღაცაზე ვფიქრობდა, იმა
ზე, რაღაც მანქუხებდა და ამზრომ ძალია
ცუდად ვთამაშობდი. თამაში საერთოდ მა
ვინებდებოდა ხოლმე, სანამ შემახსენებდ
ნენ კარტი რომ უნდა ჩავსულიყავი.

დათო და გოგა ჩემი
დეიდაშვილები იყვნენ

დათო თოფურიას მათემატიკის ამოცანებიდან ყველა ამოხსნილი ჰქონდა და ფიზიკის ამოცანები კარგად გამოყავდა გოგაც ძლიერი იყო და ნიჭიერი. ძალია მიყვარდა ორივე. ორივე ახალგაზრდა გარდაიცვალა. ჩემი დეიდაშვილები იყვნენ ამბობენ, გოგას კარტი უყვარდაო. გოგა ცოლ-შვილი არ დარჩა, დათოს კი — გოგო. თვალებით და შუბლით ჰგავს მამას წყნეთში ცხოვრობს. დედამისი ამერიკაშია

ନେଇଲିର ମିଳା କେ କୋଟିଶହୀଦ ଯେତାପାଇଲାକିମାର୍ଗରେ?

„თამაში ჭვავის ყანაში“ და ვკითხულობდა ით. ინტერნეტი არ არის პალაჟენის და საყენებელი ადგილი. არა და არა. არა და არა. თუ არ არის ფული, მაინც არ უნდა მოვიღოს ბლოთ. ბატონ N-ს ფსიქიატრიულში დაწერა არ აწერენდა. მე ადამიანის განირვა ადვილად არ შემიძლია. მართალია, ადვილად არ შემიძლია. დღეს 7 სექტემბერია რია. და ვფიქრობ, რა ვქნა, წავიდე თუ არა სოფელში. იმედი მაქვს 30 წლის შემდეგ უფრო კარგად ვიგრძნობ თავს. გოგობი იყვნენ. ბევრნიც იყვნენ და ცოტაც.

სასეილი

ბიოგრაფიულ რამებს მოვრჩი ფაქტობრივად, გავაგრძელებ კიდევ წერას. არით მეტიც ული და გეომეტრიული პროგრესი ადრე კარგად ვიციოდი. მათემატიკასა და ბერს ვერცადინეობდი. სწავლა მიყვარდა იმ დღეს ჩემმა ძმამ დამირეკა ვაიძერში და ბავშვებს და ცოლს უთხრა, ადრე თუ ვინმ იტყვიდა, რომ დაურეკავ დაინსავ კიდევ ვაცო, დასცინოდნენო და აიო! ჰოდა, ასევე ტვინი კარგი აქვს, ჯანმრთელია, ცოლ შეილიც ჰყავს, ყველაფერი ეხერხება და სამუშაოც აქვს და ღმერთმა აბედნიერობა და ამრავლოს. მეც ავინყობ ცხოვრებას სულ ასე ხომ არ ვიქნება. ლერი ჭევიან კაცია, დეიდაჩემის ოჯახის მეგობარი. ი ამბობდა ამას ტელეფონთ დარეკვაზუ კიდევ ბევრი რამ მოხდება პროგრესულ რეი კურცველი ამბობს, რომ 2030 წლი სთვის შიზოფრენია განაურნებადი გახდება. ასევე ჩიპებს შეიყვანებ სხეულში დ ეგრევე ფრანგულად ალაპარაკდები, სიტყვაზე. ვნახოთ, რა იქნება. ადამიანი დაპროგრამდება ალბათ. რეი კურცველი პრაქტიკულად არ ცდება. სინგულარიზმი და სხვა. უნდა მივიდე 2030 წლამდე, რაღა და რჩა, 12 წელი რჩება ფაქტობრივად.

၁၆၀၅၈၀၁၉၇၀
နာမိဖွံ့ဖြိုး ရှားလုပ်

წერის ენთუზიაზმი ჩამიცხრა. გავაგრძელებ მაინც. ასე მგონია, ნაკლებად მნიშვნელოვან რამეს ვაკეთებ, როცა ვწერ. თა

ფაქტობრივად უსაგნოდ ვსაუბრობ. ან რა-
ზე უნდა ვისაუბრო, პუბლიცისტურ ჟან-
რად ჩავითქმირე, მაგრამ რაც ვიცი, იმაზე
ვისაუბრობ. ადრე საქმე არაფერი მქონდა,
მაინც მთელ დღეს კომპიუტერთან ვიჯე-
ჭი, სიგარეტს ვენერდი და ყავას ვსაგმდი. ვანჭარას გამოვალებ ახლა, ოთახს გავა-
ნიავებ მცირე ხანს.

၁၁

შოპინგალი ამბობს...

შოპერაცია ამბობს, ხომ იყო დრო, როცა არ იყავი, იქნება დრო, როცა არ იქნებიო, ესეიში სიკვდილის შესახებ. შენ გის-როლეს სივრცეში ღამის და მანდ იყავი, მანდ იარსებე. ასე მიდის დრო ავაზაკი და ყველა ხედავს, როგორ დაქრიან ამხელა ქარში მეღაკუდები და სპილოები. მე აღარ მინდა ლიტერატურა და არაფერი აღარ მინდა მე.

ველოდები, როდის
გადავალ იდეებზე

ინსტიტუტში ბევრი გოგო იყო. ვპატი-
ჟებდი ხოლმე კაფეში, მაგრამ საქმე შორს
არ მიდიოდა. მომშივდა ახლა და ხელები
გამიცივდა. პელმენის მოხარშვა მეზარე-
ბა ძალიან. ერთი სენდვიჩი გავიკეთე და
შევსანსლე. გავიტან დღევანდელ დღეს
როგორმე. აბა, რა ვენა. მცირა ცოტა. რა
იდეებზე უნდა ვისაუბრო, არ ვიცა. ის, რომ
საქართველოში მძიმე მდგომარეობაა, ცხ-
ადა. განათლება გვჭირდება მეტი, შრომი-
სმოვარეობა და პასუხისმგებლობაც. ისევ
ყავა უნდა მოვიტანო, ცხელი და გამათბო-
ბს ცოტათი. ახალი წელიც მალე მოვა. ბევ-
რი არაფერი მინდა ახალ წელს. ნაძვის ხეს
დავდგამ და ეგ იქნება. მოდი, ახლა ლექსს
დავწერ:

როცა შენ იყავი ცოცხალი,
 საღამოს მოდიოდი დატვირთული
 პურით და სანოვაგით,
 მე მევონა, რომ სულ ასე იქნებოდა,
 მაგრამ შენ გარდაიცვალე
 და ალარ მოდიხარ.
 ნუხელ სიზმარში გამომეცხადე
 და ცუდად გახდი,
 იქაც კვდებოდი,
 მოხუკო მაგა!

ადრეს დავწერე ლექსი:

ჩემი სიცხი ზღვე,
რომელსაც გამართლება
სულაც არ სჭირდება,
გეძლვნება შენ და
დოფამინის ჭარბ ოდენობას
ჩემს ტვინში.
კოუა-კოლა და წვენები
არალკომლური,
კოფეინი თრობისთვის.
ჩემი სიცხი ზღვე ეძლვნება
შემაბანდებს და
ჩამტკრულ მინებს.

